სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №06/164

ქ. რუსთავი 23 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის (მერიის სარეზერვო ფონდი 2011 წლის 29 ნოემბრის №461 გრძანება) საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2„ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" -კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ.რუსთავში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეომრის გიორგი ჯავახიშვილის ოჯახის (ფატი ჯავახიშვილი) საცხოვრებელ სახლში ფანჯრების შეცვლის სამუშაოები. (CPV45400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება წარმოება „მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2-ის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მიერ, ხოლო [illegible] ხელმოწერა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2-ის და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხოლოდ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც „შემსყიდველის" მხრიდან ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი, ხოლო „მიმწოდებლის" მხრიდან ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი".

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოს შესრულების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი, ჭყონდიდელის დასახლება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლული სამუშაო.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მ იმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური(წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულებისნაკლოვანებებსინსპექტირებისგამწევიაფიქსირებსოქმით.დაფიქსირებულიხარვეზებისგამოსწორებახდება„მიმწოდებლის"მიერსაკუთარიხარჯებით.

8.3„მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის:ქ.რუსთავი, მკოსტავასგამზირი №20 საიდენტიფიკაციოკოდი№ 216433287 სს„ლიბერთიბანკი" ბ/კ№ LBRTGE22 ა/ა№ GE78LB0125148543037000	ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი“ მის: ქ.რუსთავი, თოდრიას ქ. №17 საიდენტიფიკაციოკოდი №35001095150 სს„თი-ბი-სი ბანკი“ ბ/კ№TBCBGE22 ა/ა №GE31TB7292336010100003
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე:	ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი“
კახა გურგენიძე	მამუკა ტარტარაშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი არჩვაძე

№06/164 ხელშეკრულების

ცვლილება1

30 დეკემბერი 2011 წელი

ქ. რუსთავი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის სახით ხოლო, მეორეს მხრივ ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგზე:

1. „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ანგარიშსწორების ანგარიში №GE31TB729233601010003 ნაცვლად დაფიქსირდეს ანგარიშსწორების ანგარიში №GE31TB7292336010100003
2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველი: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის წერილი №3950/1.
3. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა, რომელსაც არ შეხებია წინამდებარე ცვლილება, რჩება უცვლელად.
4. ცვლილება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის მომენტიდან და წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა და ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი"–ს შორის დადებული №06/164 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"	„ მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის: ქ.რუსთავი, მკოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287 სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000 თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე	ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი" მის: ქ.რუსთავი, თოდრიას ქ. №17 საიდენტიფიკაციო კოდი №35001095150 სს„თი-ბი-სი ბანკი" ბ/კ№TBCBGE22 ა/ა №GE31TB7292336010100003 ი.მ. „მამუკა ტარტარაშვილი"

კახა გურგენიძე

მამუკა ტარტარაშვილი